ევროკავშირი
საქართველოსთვის

CSRDG

ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი და შედეგების ანალიზი

საქართველოს შემეცნებითი ცენტრი
COGNITIVE CENTER OF GEORGIA

2023 წელი

წინამდებარე ანგარიში შექმნილია საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის (CSRDG) მხარდაჭერით, ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის მიერ დაფინანსებული პროექტის "**სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა:** *ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოება საქართველოსთვის"* ფარგლებში. მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია საქართველოს შემეცნებითი ცენტრი და ფემინა და შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის შეხედულებებს.

პროექტს ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად - საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციის და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა

ანგარიში მომზადებულია საქართველოს შემეცნებითი ცენტრისა და ფემინას ერთობლივი პროექტის „ევროკავშირის მეცხრე რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი და ადვოკატირება“ ფარგლებში.

მოწვეული ექსპერტი
გოგა ხატიაშვილი

მკვლევარი
მაგდა საგინაშვილი

გუნდი
ანა კალანდია
ანჯელა ბოლოგან
ნინო ბაისონაშვილი
რუსუდანი სახეჩიძე

თებერვალი. 2023 წელი

სარჩევი

შესავალი 2
მეთოდოლოგია 3
ევროკომისიის მე-9 რეკომენდაციის შესრულების პროცესი-მიღწეული
შედეგები და დარჩენილი სამუშაოები 4
დასკვნა 12

შესავალი

2022 წლის 3 მარტს, საქართველომ ევროკავშირში გაწევრიანების განაცხადი წარადგინა. ევროკომისიის დასკვნა ევროკავშირში საქართველოს წევრობის განაცხადთან დაკავშირებით 2022 წლის 17 ივნისს გამოქვეყნდა.[1] ევროკომისიამ საქართველოს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მისაღებად 12 პირობის შესრულების რეკომენდაცია მისცა.[2]

გენდერული თანასწორობის გაზრდისა და ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ძალისხმევის გაძლიერება ერთ-ერთია იმ 12 რეკომენდაციას შორის, რომელთა შესრულებაც ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მიღების წინაპირობას წარმოადგენს.

ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის შესასრულებლად სამუშაო პროცესი წარიმართა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისა და გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს მიერ.

წინამდებარე კვლევის მიზანია, შეაფასოს, თუ როგორ მიმდინარეობს ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის შესრულების პროცესი, რამდენად ინკლუზიური და წარმომადგენლობითია და რა სირთულეები თუ გამოწვევები ახლავს თან. შესაბამისად, კვლევაში, ძირითადად წარმოდგენილია რეკომენდაციის შესრულებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი უწყების საქმიანობაზე დაკვირვებისა და მიღებული შედეგების ანალიზი. ანგარიში მომზადებულია 2023 წლის თებერვლის მდგომარეობით

პროექტი „ევროკომისიის მეცხრე რეკომენდაციის შესრულების მონიტორინგი და ადვოკატირება" ააიპ "საქართველოს შემეცნებითი ცენტრისა" და ააიპ „ფემინას" მიერ ხორციელდება. ორგანიზაციების ამოცანაა, თავიანთი შესაძლებლობების, მანდატისა და კომპეტენციის ფარგლებში, მონიტორინგი და ადვოკატირება გაუწიოს გენდერული თანასწორობის თაობაზე გაცემულ მე-9 რეკომენდაციის შესრულების პროცესს.

[1] განმარტებითი ბარათი საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის პროექტზე საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ, https://bit.ly/3IcD0sI [20.02.2023].

[2] Opinion on the EU membership application by Georgia, 17 June, 2022, https://bit.ly/3KpDNtf [19.02.2023].

მეთოდოლოგია

კვლევა ეყრდნობა როგორც საჯაროდ გავრცელებული, ისე გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოდან გამოთხოვნილი ინფორმაციის ანალიზს. ასევე, არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომზადებულ ანგარიშებსა თუ სამოქმედო გეგმებს და ფოკუს-ჯგუფებისა და ინტერვიუს ჩატარების გზით მიღებულ და დამუშავებულ მონაცემებს.

წინასწარ შემუშავებული კითხვარების მიხედვით, ჩატარდა 2 ფოკუს ჯგუფი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან[3] და 1 ინტერვიუ გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს ხელმძღვანელთან.[4]

შესაბამისად, ორგანიზაციის დასკვნები ეფუძნება როგორც ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის ფარგლებში შექმნილი სამუშაო ჯგუფის, ისე არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ იდენტიფიცირებულ საკითხებს/გამოწვევებს, რომლებიც გამოთხოვილი თუ საჯაროდ ხელმისაწვდომი ინფორმაციისა და ჩატარებული ფოკუს-ჯგუფების/ინტერვიუს შედეგად იქნა შეგროვებული.

[3] ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობა მიიღო არასამთავრობო ორგანიზაციის 7-მა წარმომადგენელმა. პირველი ფოკუს-ჯგუფი ჩატარდა 2022 წლის 24 ნოემბერს, ხოლო მეორე ფოკუს ჯგუფი შედგა 2022 წლის 6 დეკემბერს.

[4] ფოკუს-ჯგუფში მონაწილეობა შეეთავაზათ საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო კომიტეტის წარმომადგენლებსაც, თუმცა მათი პოზიციით, ვინაიდან მუშაობენ გენდერული თანასწორობის საბჭოსთან ერთად და შესაბამის აქტივობებს ერთობლივად ახორციელებენ, ინტერვიუს ჩატარება გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარესთან საკმარისი იქნებოდა.

ევროკომისიის მე-9 რეკომენდაციის შესრულების პროცესი - მიღწეული შედეგები და დარჩენილი სამუშაოები

კვლევის პირველ ეტაპზე მნიშვნელოვანი იყო იმის განსაზღვრა, თუ რა სახის აქტივობებს მოიცავს ევროკავშირის მე-9 რეკომენდაცია.

2022 წლის 13 ივლისს, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედმა საპარლამენტო საბჭომ (შემდგომში - გენდერული თანასწორობის საბჭო) და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის შესრულების თაობაზე, რომელიც გენდერული თანასწორობის საკითხებს უკავშირდება, საერთაშორისო და ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან პირველი სამუშაო შეხვედრა გამართეს.

შეხვედრაზე გენდერული თანასწორობის მიმართულებით რამდენიმე საკვანძო საკითხი გამოიყო, კერძოდ **გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის განახლება, ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციის ინიცირება და კანონმდებლობაში ისეთი ცვლილებების განხორციელება, რომლებიც შესაბამისობაში იქნება სტამბოლის კონვენციასთან.** შეხვედრაზე, ასევე, განისაზღვრა სამოქმედო გეგმა და აღინიშნა, რომ გადაწყვეტილებების მიღება მოხდებოდა დაინტერესებული საზოგადოების წარმომადგენლების ჩართულობით, ინკლუზიურ ფორმატში.[5]

აღნიშნულის შემდეგ, კიდევ გაიმართა სამუშაო ჯგუფის რამდენიმე შეხვედრა, სადაც ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის შესრულების ფარგლებში გათვალისწინებულ და დაინიცირებულ სხვადასხვა საკითხზე იმსჯელეს.[6]

საჯაროდ გაცხადებული პოზიციის გარდა, გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ევროკავშირის **12 პუნქტიანი რეკომენდაციების მე-9 ნაწილის შესრულებასთან დაკავშირებით გამოიკვეთა რამდენიმე საკითხი/ინიციატივა, კერძოდ,**

- ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგიის პროექტის წარდგენა მთავრობის მიერ პარლამენტში;
- ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცება;
- გენდერული გავლენის ანალიზის (GIA) ინსტიტუციონალიზაცია;
- გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფციის მიღება;
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფციის ინიცირება;
- სტამბულის კონვენციის ვალდებულებებთან დაახლოების პაკეტის შემუშავება:

[5] პარლამენტმა ევროკავშირის მიერ გენდერული თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით დადგენილი რეკომენდაციის შესრულებაზე მუშაობა დაიწყო, 13 ივლისი, 2022, https://bit.ly/3S8U7jO [19.02.2023].

[6] იხ. 27 ივლისი, 2022, https://bit.ly/3EoFqDo [21.02.2023]; 5 აგვისტოს, 2022, https://bit.ly/3Kqq6tR, [21.02.2023]; 17 აგვისტო, 2022, https://bit.ly/3Z7kj0C [21.02.2023].

- ✓ „მსხვერპლის სტატუსის“ გაუქმება მხარდაჭერის მომსახურებებით სარგებლობის მიზნებისთვის;
- ✓ გაუპატიურების დეფინიციის ცვლილება და შესაბამისი თავის გადახედვა;
- ✓ მსხვერპლის კომპენსაციის წესის მიღება;
- ✓ მსხვერპლის დაცვა მეორეული ვიქტიმიზაციისგან;
- ✓ ქალწულობაზე შემოწმების სამართლებრივი რეგულირების საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება.[7]

აღნიშნულის პარალელურად, არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეიმუშავეს სამოქმედო გეგმა, რომლის მიხედვითაც, ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციის შესასრულებლად მნიშვნელოვანი იყო სქესობრივი დანაშაულების, მათ შორის, გაუპატიურების დეფინიციის შესაბამისობაში მოყვანა სტამბოლის კონვენციასთან, გენდერული ძალადობისა და ოჯახში ძალადობის ახალი სამოქმედო გეგმის დამტკიცება და სერვისებზე ხელმისაწვდომობისათვის „მსხვერპლის სტატუსის“ მოთხოვნის გაუქმება.[8]

დამატებით, გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - საბჭოს თავმჯდომარე) **გამოჰყოფს სამ მიმართულებას,** რომლებზეც მე-9 რეკომენდაციის შესრულების ფარგლებში მუშაობენ:

- ქალთა მიმართ ძალადობა;
- ქალთა ეკონომიკური გაძლიერება;
- პოლიტიკაში ქალების გაძლიერება.

- *„რეკომენდაცია იყო დიდი შესაძლებლობა და გამოწვევაც. რეკომენდაცია არ აღწერს დეტალურად, რა შეიძლება ყოფილიყო მისი შესრულების კონკრეტული ინდიკატორი. ეს, ერთი მხრივ, სწორია, რადგან გარკვეული სივრცე დაგვიტოვეს, ჩვენ განგვესაზღვრა, რას მოვიაზრებდით ამ რეკომენდაციის შესრულებაში“* - **გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.**

ქალთა მიმართ ძალადობის სფერო, მათ შორის, მოიცავს ისეთ საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც ეხება მსხვერპლის სტატუსის მოთხოვნის გაუქმებასა და სასამართლო პროცესზე მსხვერპლის მეორეული ვიქტიმიზაციისგან დაცვას. ამ რეკომენდაციის ფარგლებში, საბჭოს თავმჯდომარე, ასევე, მოიაზრებს გაუპატიურების დეფინიციის ცვლილებას. მისი ინფორმაციით, **გარკვეულ ეტაპზე გართულდა საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა,** რადგან არ იყო მარტივად მისაღები გადაწყვეტილება როგორც უმრავლესობაში, ასევე სხვა პოლიტიკურ პარტიებში და არსებობდა დიდი წინააღმდეგობა. მისი თქმით, საჭირო გახდა დისკუსიის გაფართოება და მსჯელობის გაგრძელება აკადემიური და პროფესიული წრეების წარმომადგენლებთან ერთად, უფრო მეტი მზაობის მისაღებად.

---

[7] გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წერილი, 24 ოქტომბერი, 2022.

[8] 12 ნაბიჯი ევროკავშირის კანდიდატობისთვის, არასამთავრობო ორგანიზააციების სამოქმედო გეგმა, 3 ივლისი, 2022, https://bit.ly/3KfjdeW [16.02.2022].

საბჭოს თავმჯდომარის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, **დაინიცირდა ქალთა ეკონომიკური გაძლიერების კონცეფცია,** რომელსაც მიმდინარე წლის მარტის თვეში მიიღეს. ასევე, მოახდინეს **გენდერული გავლენის ანალიზის (GIA) ინსტიტუციონალიზაცია, განახლდა გენდერული თანასწორობის კონცეფცია.** რაც შეეხება, პოლიტიკაში ქალების გაძლიერებას, გენდერული ქვოტირების ვადა 2032 წლის ოქტომბრის ჩათვლით გახანგრძლივდა.[9]

- *„გამომდინარე იქედან, რომ რეკომენდაციაში დაკონკრეტებული არ არის, ჩვენ თვითონ განვსაზღვრეთ, რაზე უნდა გვემუშავა....აპრიორი თუ გაუპატიურების მუხლი არ შეიცვალა, ვერ ვიტყვი, რომ რეკომენდაცია არ შესრულებულა...ნამდვილად ბევრი რამ გაკეთდა ამ რეკომენდაციის ფარგლებში. შესრულების ხარისხი სრულად შეესაბამება შემდეგ ეტაპზე ქვეყნის გადაყვანის წინაპირობას, ვგულისხმობ კანდიდატის სტატუსის მიღებას“* - გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე.

საბჭოს თავმჯდომარის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, გააგრძელებენ იმ საკითხებზე მუშაობას, რომლებიც დაინიცირებულია. ასევე, არ შემოიფარგლებიან მხოლოდ აქამდე იდენტიფიციებული საკითხებით და იმუშავებენ ახალ ინიციატივებზეც (ალიმენტის საკითხი, მარტოხელა მშობლის სტატუსის გაფართოება, გენდერული სტატისტიკის წარმოების ინსტიტუციონალიზაცია, მუნიციპალურ დონეზე კოორდინაციის მექანიზმების შექმნა და ა.შ.).

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე **არასამთავრობო ორგანიზაციები მე-9 რეკომენდაციის შესრულების მიზნით, საქართველოს პარლამენტში სამუშაო ჯგუფის შექმნას დადებითად აფასებენ.** აღნიშნავენ, რომ ეძლევათ შესაძლებლობა წარადგინონ მოსაზრებები და მიიღონ უკუკავშირი. თუმცა, მიუთითებენ სამუშაო ჯგუფის საქმიანობის ფრაგმენტულ და არასისტემურ ხასიათზე. არასამთავრობოების ნაწილი მიუთითებს, რომ თავდაპირველად სამუშაო ჯგუფი უფრო აქტიური იყო, თუმცა 2022 წლის სექტემბრის შემდეგ, ფაქტობრივად, ეს ჯგუფი „გაყინულია“. შეხვედრები აღარ იმართება, თუმცა საინფორმაციო ხასიათის დოკუმენტები სისტემატურად ეგზავნებათ.

- *„ის, რომ შეიქმნა ჯგუფი და პრიორიტეტები გამოიყო, არის დადებითი... რეაგირებას ახდენენ ჩვენს მიერ დასმულ კითხვებზე, რასაც დადებითად შევაფასებდი“* - ფოკუს-ჯგუფის მონაწილე;
- *„ამ შეხვედრებეზე, ძირითადად ვიკრიბებოდით არასამთავრობო ორგანიზაციები, იყო კონკრეტული მოსაზრებები, რომლებიც ჟღერდებოდა, იყო ამაზე პასუხები, მაგრამ ამას არ ჰქონდა საფუძვლიანი დისკუსიის სახე, რადგან ჩვენ აქ გვჭირდებოდა აღმასრულებელი ხელისუფლება. გვყავდა მხოლოდ სახალხო დამცველი, რომელიც ძირითად საკითხებს ფარავს, ვინაიდან მას ჰქონდა კომუნიკაცია სხვადასხვა ინსტიტუციებთან, მოჰქონდა მათი სათქმელი.....პროცესში მე მაკლდა აღმასრულებელი ხელისუფლება, როგორც გადაწყვეტილების მიმღები პირი, რადგან არფერი არ ინიცირდება თუ არ არის თანახმა მთავრობა, კონკრეტული სამინისტრო. ამ პროცესში მათი*

[9] იხ. https://bit.ly/3lNUDaK [20.02.2023].

ჩართულობა რომ არ მოხდა, ამან ბევრი რამ გაართულა“ - ფოკუს-ჯგუფის მონაწილე;

- *„შეუძლებელია ამდენი ხანი ქვეყანა იყოს სამოქმედო გეგმის გარეშე“.. მიდგომა არ არის სისტემური“* - ფოკუს-ჯგუფის მონაწილე.

ერთ-ერთი ორგანიზაციის წარმომადგენლის პოზიციით, თემატური მოკვლევა უნდა ჩატარებულიყო მე-9 რეკომენდაციასთან დაკავშირებით და სწორედ აღნიშნულის საფუძველზე უნდა შემდგარიყო სტრატეგია და სამოქმედო გეგმა.

ფოკუს-ჯგუფის მონაწილე არასამთავრობო ორგანიზაციები საუბრობენ იმ საკითხებზე, რომლებიც, მათი აზრით, გათვალისწინებული უნდა იქნეს მე-9 რეკომენდაციის შესრულებისას, რაც მოსწრებადია დროის მცირე პერიოდში, კერძოდ: გაუპატიურების მუხლის ცვლილება; მსხვერპლის სტატუსის მოთხოვნის გაუქმება, როგორც სერვისის მიღების წინაპირობა; ფემიციდის დეფინიციის გაჩენა კანონმდებლობაში; ქვოტირებასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებები; ქვეყანაში გენდერული პოლიტიკის სრულყოფა და კონკრეტული ცვლილებები კანონმდელობობაში, რომელიც, მათ შორის, შეეხება ქალების გაძლიერებას მუნიციპალურ დონეზე და უწყებათაშორისი კომისიების შექმნას; ასევე, ინსტიტუციური მექანიზმების გაძლიერება და გენდერული სტატისტიკის შეგროვება უწყებების მიერ; ქალთა ეკონომიკური გაძლიერება.

- *„საკითხების მრავალფეროვნებას თუ დავინახავ, ჩავთვლი რომ რაღაცას მივაღწიეთ. ეს იქნება შეფასების კრიტერიუმი ჩემთვის....გენდერული თანასწორობა არ არის ვიწრო სფერო და საკითხები არის ძალიან ბევრი. ახალი ინიციატივების წამოწყებას, სჯობს რომ იმ საკითხებს გაეცეს პასუხი, რომელზე მუშაობაც უკვე დაწყებული აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს და პირდაპირ კავშირშია მე-9 რეკომენდაციასთან“* - ფოკუს-ჯგუფის მონაწილე.

ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენელი საუბრობს იმ საკანონმდებლო ინიციატივაზე, რომელიც ეხება კანონმდებლობაში ინტიმური პარტნიორის ცნების განსაზღვრასა და ოჯახის წევრის სტატუსის მინიჭებას. მისი თქმით, 2018 წელს მიიღეს მხარდაჭერა აღნიშნული ცვლილებების მისაღებად გენდერული თანასწორობის საბჭოსა და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტისგან, თუმცა მოგვიანებით აღმოაჩინეს, რომ ეს საკითხი მოიხსნა დღის წესრიგიდან. ეს ინიციატივა გააჟღერეს მე-9 რეკომენდაციის ფარგლებშიც, თუმცა კვლავ ვერ მიიღეს მხარდაჭერა.

ამ ეტაპზე, სამუშაო ჯგუფისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ინიცირებული საკითხებიდან, მხოლოდ 8 რეკომენდაცია შესრულდა.

კერძოდ, 2022 წლის 26 ოქტომბერს, საქართველოს მთავრობამ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმა და ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს

რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმა დაამტკიცა.[10]

2022 წლის 9 ნოემბერს, დამტკიცდა ქალთა მიმართ ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის კომპენსაციის გაცემის წესი.[11]

აგრეთვე, 2022 წლის 12 დეკემბერს, საკანონმდებლო ცვლილებების გზით, გაუქმდა „მსხვერპლის სტატუსის" მოთხოვნა, როგორც მომსახურებებით სარგებლობის წინაპირობა. შესაბამისად, გაუქმდა სავარაუდო მსხვერპლის ცნებაც. შეცვლილი კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც 2023 წლის 1 ივლისიდან ამოქმედდება, თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მომსახურების მიმწოდებელი თავად განსაზღვრავს კრიტერიუმებს ან/და შეიმუშავებს სპეციალურ ინსტრუმენტს, რომლის საფუძველზეც მიიღებს გადაწყვეტილებას მომსახურების მიწოდების ან მიწოდებაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნული ინსტრუმენტით თავშესაფრის/კრიზისული ცენტრის მომსახურების მიმწოდებელი დაადგენს პირის მიმართ ნამდვილად ჰქონდა თუ არა ადგილი ძალადობას, შეაფასებს რისკებს და გამოკვეთს საჭიროებებს.[12]

რაც შეეხება ინსტიტუციურ მექანიზმებს, **2022 წლის 15 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა მიიღო გენდერული გავლენის ანალიზის (GIA) ინსტიტუციონალიზაცია,** რაც გულისხმობს ყველა საკანონმდებლო ინიციატივის განმარტებით ბარათში გენდერული თანასწორობის შესახებ შესაბამისი პუნქტის დამატებას, რომელიც ახსნის, თუ რა გავლენა აქვს ინიციატივას ქალებსა და კაცებზე.[13] აგრეთვე, **2022 წლის 22 დეკემბერს, საქართველოს პარლამენტმა გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფცია მიიღო,**[14] ხოლო **2022 წლის 5 სექტემბერს, საქართველოს მთავრობამ ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მე-2 ეროვნული სტრატეგია დაამტკიცა,** რომელიც 2022-2030 წლებს დაფარავს.[15]

---

[10] საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ოქტომბრის №509 დადგენილება „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა (დაზარალებულთა) დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე", https://bit.ly/3lCqDhV [19.02.2023]; საქართველოს მთავრობის 2022 წლის 26 ოქტომბრის №510 დადგენილება „ქალებზე, მშვიდობასა და უსაფრთხოებაზე გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების განხორციელების 2022-2024 წლების საქართველოს ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების თაობაზე", https://bit.ly/41aU7ni [19.02.2023].

[11] საქართველოს მთავრობის 2022 წლის 9 ნოემბრის, №523 დადგენილება „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის მსხვერპლისათვის გასაცემი კომპენსაციის ოდენობის განსაზღვრისა და გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე", https://bit.ly/3xz0d3w [21.02.2023].

[12] განმარტებითი ბარათი საქართველოს კანონის პროექტზე „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ" საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, https://bit.ly/3S90qUw [19.02.2023].

[13] იხ. https://bit.ly/3XKEccH [19.02.2023].

[14] საქართველოს პარლამენტის დადგენილება „საქართველოს გენდერული თანასწორობის სახელმწიფო კონცეფციის" დამტკიცების შესახებ", 22 დეკემბერი, 2022, https://bit.ly/3xAx4op [19.02.2023].

[15] იხ. https://bit.ly/3KqRNTz [20.02.2023]; საქართველოს ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნული სტრატეგია 2022-2030 წლებისთვის, იხ. https://bit.ly/3EhQyC4 [20.02.2023].

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა, პრინციპების დონეზე, მხარი დაუჭირა „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ პარლამენტის დადგენილების პროექტს.[16]

ზემოხსენებული რეკომენდაციების შესრულების მიუხედავად, **კვლავ გამოწვევად რჩება სქესობრივი დანაშაულის, მათ შორის, გაუპატიურების ხარვეზიანი საკანონმდებლო დეფინიციები,** რომლებიც არ შეესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებს, მათ შორის, სტამბოლის კონვენციის მოთხოვნებს. ასევე, **კანონმდებლობა, კვლავ არ ითვალისწინებს შესაძლებლობას, ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სრულწლოვანმა დაზარალებულებმა სასამართლოში ჩვენება მისცენ ბრალდებულთან პირისპირ შეხვედრის გარეშე,** მათზე ფსიქოლოგიური ზეწოლის მაქსიმალურად შესამცირებლად, როგორც ამას ითვალისწინებს სტამბოლის კონვენცია.

სტამბოლის კონვენციასთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, **2022 წლის 5 ოქტომბერს დაინიცირდა ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში,** სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, იურიდიული დახმარების შესახებ კანონში, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსსა და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონში.

კერძოდ, **სისხლის სამართლის კოდექსში დაინიცირდა რამდენიმე ცვლილება,** რომლებიც ითვალისწინებს შემდეგ საკითხებს: აბორტი თანხმობის გარეშე (ორსულობის შეწყვეტა მსხვერპლის წინასწარი ინფორმირებული თანხმობის გარეშე); არასრულწლოვნის გაუპატიურება გამოიყოფა ცალკე მუხლად და დაწესდება ასაკობრივი ზღვარი; ქორწინების იძულება (ქორწინების (მათ შორის, არარეგისტრირებულის) იძულების მიზნით პირის დაყოლიება საქართველოში შემოსასვლელად, თუ ამას მოჰყვა ქვეყანაში შემოსვლისკენ მიმართული ქმედებები); აბორტის იძულება; პროსტიტუციით დაკავებული არასრულწლოვნის მომსახურებით სარგებლობა.[17]

ცვლილებები, ასევე ეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებულ საკითხებს, როგორიცაა: მოწმის დაკითხვის წესი, ბრალდებულის უფლებები და სავალდებულო დაცვის შემთხვევები. ინიცირებული ვერსიით, ოჯახში ძალადობისა და ოჯახური დანაშაულის სისხლის სამართლის საქმეებზე, მოწმის ინტერესების დასაცავად მოსამართლე უფლებამოსილი იქნება პროკურორის შუამდგომლობით გამოიტანოს განჩინება: ა) მოწმის დისტანციურად დაკითხვის შესახებ; ბ) სასამართლო სხდომის დარბაზიდან ბრალდებულის დროებით გაყვანის შესახებ;

---

[16] იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა „ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციას“ მხარი დაუჭირა, 15 თებერვალი, 2023, https://bit.ly/3Z4HXdQ [19.02.2023].

[17] იხ. https://bit.ly/3kamjX1 [21.02.2023].

კანონპროექტით იხვეწება სექსუალური შევიწროების დეფინიცია და ხდება მისი „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში მოყვანა. ასევე, გათვალისწინებულია ამ სამართალდარღვევისთვის უფრო ეფექტური, თანაზომიერი და გადამარწმუნებელი ზეგავლენის მქონე სანქციების დაწესება. ცვლილების თანახმად, 166[1] მუხლის პირველი ნაწილი გაითვალისწინებს 600 ლარის ოდენობის ჯარიმას, მე-2 ნაწილი - 800 ლარის ოდენობის ჯარიმას, მე-3 ნაწილი - 800-დან - 1000 ლარამდე, მე-4 ნაწილი კი 1000-დან 1500 ლარამდე ჯარიმას.

პროექტით ასევე **გათვალისწინებულია ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებათა ჩამონათვალის გაფართოება** და „გენდერის ნიშნით“ სამართალდარღვევის ჩადენის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნევა.

გენდერული თანასწორობის საბჭოს პოზიციით, აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებები მოექცა ინიცირებათა პირველ ტალღაში და რიგ საკითხებზე კვლავ გრძელდება მუშაობა. [18]

ქვემოთ მოცემული ცხრილი აღწერს, 2023 წლის 21 თებერვლის მდგომარეობით, ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მხრივ არსებულ მდგომარეობას.

[18] გენდერული თანასწორობის მუდმივმოქმედი საპარლამენტო საბჭოს წერილი, 24 ოქტომბერი, 2022.

რეკომენდაცია	სტატუსი
მთავრობის მიერ ადამიანის უფლებათა დაცვის რიგით მე-2 ეროვნული სტრატეგიის დამტკიცება	შესრულდა
ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და მსხვერპლთა დასაცავად 2022-2024 წლებში გასატარებელ ღონისძიებათა სამოქმედო გეგმის დამტკიცება	შესრულდა
„მსხვერპლის სტატუსის“ მოთხოვნის გაუქმება, როგორც მომსახურებებით სარგებლობის წინაპირობა	შესრულდა
გენდერული თანასწორობის ახალი სახელმწიფო კონცეფციის მიღება	შესრულდა
გენდერული გავლენის ანალიზის (GIA) ინსტიტუციონალიზაციის მიღება	შესრულდა
მსხვერპლის კომპენსაციის წესის მიღება	შესრულდა
„ქალთა ეკონომიკური გაძლიერების სახელმწიფო კონცეფციის“ დაინიცირება	შესრულდა
გენდერული ქვოტირების ვადის გახანგრძლივება 2032 წლამდე	შესრულდა
ადამიანის უფლებათა სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცება	არ შესრულდა
სქესობრივი დანაშაულების, მათ შორის, გაუპატიურების საკანონმდებლო დეფინიციების დახვეწა და თანხმობის არარსებობის ცნების განსაზღვრა	არ შესრულდა
ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის სრულწლოვან მსხვერპლთა დაცვა მეორეული ვიქტიმიზაციისა და ფსიქოლოგიური ზეწოლისგან სასამართლოში დაკითხვის დროს ბრალდებულთან პირისპირ შეხვედრის თავიდან აცილების გზით	არ შესრულდა
ქალწულობაზე შემოწმების სამართლებრივი რეგულირება	არ შესრულდა

დასკვნა

მიუხედავად იმისა, სამუშაო ჯგუფის ინიციატივითა და სხვადახვა სახელმწიფო უწყებების ჩართულობით განხორციელდა რიგი საკანონმდებლო თუ ინსტიტუციური ცვლილებები, კვლავ რჩება მნიშვნელოვანი გამოწვევები, რომლებზეც უნდა გაგრძელდეს მუშაობა იმისათვის, რომ სრულყოფილად შესრულდეს ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციით გათვალისწინებული მიზნები.

კვლავ პრობლემურია გაუპატიურებისა და სხვა სქესობრივი დანაშაულის საკანონმდებლო დეფინიციები, რომლებიც არ შესაბამება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო და რეგიონულ სტანდარტებს, მათ შორის, სტამბოლის კონვეციის მოთხოვნებს.

აღნიშნული ცვლილებების გარეშე კი, შესაძლოა საფრთხე შეექმნას ევროკავშირის მე-9 რეკომენდაციით გათვალისწინებული ამოცანების სრულყოფილად და ყოველმხრივ შესრულებულად გამოცხადებას.